დაე, იყოს შენი ენა მუდამ სველი ალლაჰის ხსენებით

აბდულლაჰ იბნ ბუსრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვიდა კაცი და თქვა: ო, ალლაჰის მოციქულო! ნამდვილად, ისლამის წესები ჩვენთვის მრავლად გახდა. მიგვითითე კარგზე (საქმეზე), რასაც ჩავეჭიდებით, რომელიც ყველაფერს მოიცავს? მან თქვა: «დაე, იყოს შენი ენა მუდამ სველი ალლაჰის ხსენებით». ხოლო სხვა გადმოცემაში: მუ'აზ იბნ ჯაბალის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემით: ბოლო, რითაც მე განვშორდი ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), იყო ის, რომ ვკითხე: რომელი საქმეებია ყველაზე სიკეთიანი და ყველაზე ახლოს ალლაჰთან? მან თქვა: «ის, რომ შენ მოკვდე და შენი ენა სველი იყოს დიდებული და ყოვლისშემძლე ალლაჰის ხსენებით».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه أحمد والترمذي وابن ماجه وابن حبان]

ერთმა ადამიანმა ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), შესჩივლა, რომ დამატებითი თაყვანისცემის ფორმები მისთვის ძალიან მრავალრიცხოვანი და მძიმე შესასრულებელი გახდა მისი სისუსტის გამო. მან სთხოვა მოციქულს, ეჩვენებინა ისეთი მარტივი საქმე, რომელიც დიდ ჯილდოს მოიტანს და რომელსაც ის შეძლებს დაეყრდნოს და მუდმივად შეასრულოს. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ურჩია, რომ მისი ენა მუდმივად სველი და მოძრაობაში ყოფილიყო ალლაჰის უწყვეტი ხსენებით. ეს შეიძლება იყოს ალლაჰის შექება, მადლიერება, მიტევების თხოვნა, ვედრება და სხვა მსგავს ფორმებში ნებისმიერ დროსა და გარემოებაში.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/66541